

გამოყენების ინსტრუქცია

ბიოლექტრა მაგნეზიუმ ფორტისიმუმი **BIOLECTRA® MAGNESIUM FORTISSIMUM**

შუშხუნა ტაბლეტები



სამკურნალო საშუალების გამოყენებამდე ყურადღებით წაკითხეთ გამოყენების ინსტრუქცია!

შეინახეთ ეს ინსტრუქცია, შეიძლება მოგვიანებით საჭირო გახდეს მისი ხელახლა წაკითხვა.

უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ თქვენი ექიმისგან ან ფარმაცევტისგან. თუ ჩათვლით საჭიროდ, მიმართეთ მათ.

სამკურნალო საშუალების შემადგენლობა:

მოქმედი ნივთიერება: 1 შუშხუნა ტაბლეტი შეიცავს: მსუბუქ მაგნიუმის ოქსიდს 342.0 – 369.4 და მსუბუქ მაგნიუმის კარბონატს 670 მგ, რაც შეესაბამება 365 მგ მაგნიუმს;

დამხმარე ნივთიერებები: უწყლო ლიმონმჟავა, ნატრიუმის ჰიდროკარბონატი, უწყლო ნატრიუმის კარბონატი, კალიუმის ჰიდროკარბონატი, სახარინის ნატრიუმის მარილი, ნატრიუმის ციკლამატი, ნატრიუმის ქლორიდი, ლიმონის არომატიზატორი „MH“ (შეიცავს მანიტს (E 421), სორბიტს (E 420)), ლაიმის არომატიზატორი „MGK“ (შეიცავს მანიტს (E 421), სორბიტს (E 420)).

გამოშვების ფორმა. შუშხუნა ტაბლეტი.

ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები.

მრგვალი, თეთრი ბრტყელცილინდრული ტაბლეტი, გლუვი ზედაპირით დაზიანების გარეშე, ერთ მხარეზე ამოტვიფრული წარწერით «Biolectra».

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი.

სხვა მინერალური დანამატები. მაგნიუმის პრეპარატები. ათქ-კოდი A12CC30.

ჩვენებები.

ორგანიზმში მაგნიუმის დეფიციტის მკურნალობა და პრიფილაქტიკა იმ შემთხვევებში, როდესაც დარღვეულია კუნთების ფუნქციები (ნეირო-კუნთოვანი დარღვევები, კრუნჩხვები), ქრონიკული ფიზიკური და გონებრივი დაღლილობის, აგზნების, მიალგიების, ინტენსიური ფიზიკური და გონებრივი დატვირთვის და ორსულობის დროს.

გამოიყენება ჰიპომაგნიემიის დროს, რომელიც გამოწვეულია ხანგრძლივი მოწევით და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებით, საფლარათო საშუალებების, კონტრაცეპტივების, ზოგიერთი დიურეზული საშუალებების ხანგრძლივი გამოყენებით ან მუდმივი ჰიპერგლიკემიის მქონე შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში ოსმოსური დიურეზის დროს.

უკუჩვენებები:

მომატებული მგრძობელობა პრეპარატის ნებისმიერი კომპონენტების მიმართ.

თირკმლის ფუნქციის დარღვევის ან გულში აგზნების გამტარიანობის დარღვევის (AV - ატრიოვენტრიკულური ბლოკადის შემთხვევაში) დროს, რომლებმაც შეიძლება ბრადიკარდია გამოიწვიონ, პრეპარატის მიღება არ არის რეკომენდებული. გარდა ამისა, უნდა გადამოწმდეს არსებობს თუ არა მინერალური და ელექტროლიტული ცვლის დარღვევები (ჰიპერმაგნიემია, ჰიპერკალემია).

ბირლექტრა მაგნიუმიუმ ფორტისიმუმის მიღება უკუნაჩვენებია მძიმე მიასთენიის, ექსიკოზის, საშარდე გზების ქრონიკული ინფექციების და კალციუმ-მაგნიუმი-ფოსფატამონიუმის დიათეზის დროს.

ჭარბი დოზირება:

მაგნიუმის მარილების მიღებისას ჰიპერმაგნიემია ვითარდება მხოლოდ თირკმლის უკმარისობის დროს. ასეთი პაციენტებისათვის უკუნაჩვენებია მაგნიუმის მარილების მიღება.

ინტოქსიკაციის სიმპტომები

მაგნიუმის მაღალი კონცენტრაციები იწვევენ ჩონჩხის კუნთების მოდუნებას (სისხლის პლაზმაში მაგნიუმის კონცენტრაცია 5.5 მმოლი/ლიტრზე მეტი). მაგნიუმის იონების უფრო მაღალი კონცენტრაციები (10-20 მმოლი/ლიტრი) ახანგრძლივებენ გულის გამტარობის პერიოდს, ხოლო კიდევ უფრო მაღალი კონცენტრაციები იწვევენ დიასტოლაში გულის გაჩერებას.

ინტოქსიკაციების მკურნალობა

კალციუმის ინტრავენური შეყვანა მყისიერად თრგუნავს აღნიშნულ სიმპტომებს, ამ იონებს შორის არსებული ანტაგონიზმის გამო.

სხვა სამკურნალო საშუალებებთან ურთიერთქმედება:

რკინის ფთორიდთან, ნატრიუმის ფთორიდთან ან ტეტრაციკლინთან ერთდამ მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს რკინის, ნატრიუმის ფთორიდის, ტეტრაციკლინის და მაგნიუმის ათვისების დარღვევა.



ასეთ შემთხვევაში პრეპარატის ბიოლექტრა მაგნიუმ ფორტისიმუმის და რკინის პრეპარატების, ნატრიუმის ფთორიდის, ტეტრაციკლინის მიღებებს შორის საჭიროა დაიცვათ 3-4 საათიანი ინტერვალი.

ალუმინის შემცველი პრეპარატების (მაგ., ანტაციდები) ერთდროულმა მიღებამ შეიძლება გააძლიეროს ალუმინის შეწოვება.

უსაფრთხოების ზომები:

1 შუშხუნა ტაბლეტი შეიცავს 4.65 მმოლ (107 მგ) ნატრიუმს, რაც გასათვალისწინებელია პაციენტებში, რომლებიც იცავენ ნატრიუმის დაბალი შემცველობის დიეტას (სუფრის მარილის დაბალი შემცველობა).

1 შუშხუნა ტაბლეტი შეიცავს 2.51 მმოლ (98 მგ) კალიუმს, რაც გასათვალისწინებელია თირკმლის ფუნქციის დარღვევისას, ასევე პაციენტებში, რომლებიც იცავენ კალიუმის დაბალი შემცველობის დიეტას.

ორსულობა და ლაქტაცია

ორსულობის ან ლაქტაციის პერიოდში პრეპარატის მიღების მხვრივ რისკი არ არსებობს.

პრეპარატის ზემოქმედება ავტოტრანსპორტისა და მექანიზმების მართვის უნარზე:

არ მოქმედებს.

დოზების რეჟიმი და მიღების წესი:

ბიოლექტრა მაგნიუმ ფორტისიმუმის დოზა დამოკიდებულია მაგნიუმის დეფიციტის ხარისხზე.

საშუალო სადღეღამისო დოზა შეადგენს 1-2 შუშხუნა ტაბლეტს (365-730 მგ მაგნიუმის იონები = 15-30 მმოლ).

მოზარდებსა და მოზრდილებში ინიშნება 1 შუშხუნა ტაბლეტი 1 – 2-ჯერ დღეში.

მაგნიუმის მძიმე დეფიციტის შემთხვევაში ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ შეიძლება დაინიშნოს შედარებით მაღალი დოზები.

1 შუშხუნა ტაბლეტი გახსენით ერთ ჭიქა წყალში და დალიეთ მიღებული ხსნარი.

მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მაგნიუმის დეფიციტის გამომწვევ მიზეზზე.

ხანგრძლივი მკურნალობა მაღალი დოზებით უნდა წარიმართოს ექიმის კონტროლის ქვეშ.

გვერდითი მოვლენები:

გვერდითი მოვლენების სიხშირის განსაზღვრას განიხილება შემდეგი კატეგორიები:

მაღიან ხშირად ($\geq 1/10$)



| | |
|------------------|---|
| ხშირად | ($\geq 1/100$ - $< 1/10$ -მდე) |
| შედარებით ხშირად | ($\geq 1/1,000$ - $< 1/100$ - მდე) |
| იშვიათად | ($\geq 1/10,000$ - $< 1/1,000$ -მდე) |
| ძალიან იშვიათად | ($< 1/10,000$) |
| არ არის ცნობილი | (წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე არ არის დადგენილი სიხშირე) |

მაღალი დოზებით გამოყენება იწვევს დიარეას, რომელიც არ არის საშიში და დოზის შემცირების შემთხვევაში გაივლის. ბიოლექტრა მაგნიუმ ფორტისიმუმის მაღალი დოზებით ხანგრძლივი მიღება იწვევს დაღლილობის შეგრძნებას. ასეთ შემთხვევაში ქიმიური და კლინიკური გამოკვლევების საფუძველზე ექიმმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მკურნალობის გაგრძელების შესახებ.

ვარგისობის ვადა:

3 წელი.

არ გამოიყენოთ შეფუთვაზე აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება ორიგინალურ შეფუთვაში არა უმეტეს 25 °C ტემპერატურაზე.

ინახება ბავშვებისაგან დაცულ ადგილას.

შეფუთვა:

შუშხუნა ტაბლეტები № 10.

10 შუშხუნა ტაბლეტი ტუბში. 1 ტუბი ინსტრუქციასთან ერთად მუყაოს კოლოფში.

გაცემის წესი: ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი - III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

მწარმოებელი: ჰერმეს არცნაიმიტელი გმბჰ, ჰანს-ურმილერ-რინგი 52, 82515

ვოლფრატსჰაუზენი, გერმანია.

Hermes Arzneimittel GmbH, Hans-Urmiller-Ring 52, 82515 Wolfratshausen, Germany

განმცხადებელი: ალპენ ფარმა აგ., კაზინოპლაცი 2, 3011 ბერნი, შვეიცარია

Alpen Pharma AG, Casinoplatz 2, 3011 Bern, Switzerland

